IV კლასი **ოლიმპიადა ,,განთიადი”** დაზოგე დრო!

სახელი , გვარი , ტელეფონი_____

სკოლა_____

მათემატიკა

ამოცანები, რომლებიც ფასდება 3 ქულით

1. მოცემული უტოლობებიდან რომელია ის უტოლობა, რომელშიც ❄ ნიშნის ნაცვლად სხვადასხვა ციფრები შიეძლება ჩაიწეროს

ა) 2❄09 > 2885

ბ) 1453❄ < 14531

გ) 796822 < 796❄12

დ) ❄4107 > 79000

2. მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რამდენიმე ნივთის მასა : 1კგ 800გ ; 20 050გ ; 50კგ ; 350 000გ ; 1ტ ; 3კგ 50გ . მოსწავლეებმა დააწყეს კლების მიხედვით. რომელია მარჯვნიდან მესამე ?

ა) 1ტ ბ) 20კგ 50გ გ) 3კგ 50გ დ) 50კგ

3. შემდეგი ტოლობებიდან რომელია მართებული

ა) (24-8):4=24-8:4

ბ) (24-8):4=24:8-4

გ) (24-8):4=24:4-8:4

დ) (24-8):4=24:4-8

ამოცანები, რომლებიც ფასდება 5 ქულით

4. ფუტკრის ერთ ოჯახს გამოსაკვებად სჭირდება 13კგ თაფლი. ერთ სკას შეუძლია დააგროვოს 33კგ თაფლი. რამდენი კილოგრამი თაფლის გამოყენებას შესძლებს ოჯახი ხუთი დღის განმავლობაში, თუ მას თხუთმეტი სკა აქვს ?

ა) 1200კგ ბ) 1525კგ გ) 525კგ დ) 1500კგ

5. საათზე აღნიშნული დრო გამოსახეს სხვადასხვა ჩანაწერებით

I _ დილის 10-ს უკლია 5 წუთი

II_დილის 9სთ და 55 წთ

III_09:55

რომელია არასწორი ჩანაწერი?

ა) I ბ) II გ) III

დ) არც ერთი



ამოცანები, რომლებიც ფასდება 7 ქულით



6. ხეხილის ბაღში მოკრიფეს 840კგ ვაშლი რაც 2-ჯერ ნაკლებია მოკრეფილი მსხლის რაოდენობაზე. მოკრეფილი ხილის ნახევარი 10 კილოგრამიან ყუთებში ჩააწყეს. რამდენი ყუთი დასჭირდათ ?

ა) 126 ბ) 120 გ) 630 დ) 730

7. ქვემოთ ჩამოთვლილი ფიგურებიდან რამდენი არ არის სივრცული ფიგურა ?

მართკუთხა პარალელეპიპედი, ბირთვი, წრე , კონუსი, კვადრატი, კუბი, მართკუთხედი, სამკუთხა პირამიდა

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი დ) ხუთი

8. ხუთნიშნა რიცხვი დაწერილია მხოლოდ ცხრიანებით , ექვსნიშნა რიცხვი კი მხოლოდ ერთიანებით. რამდენით მეტია ექვსნიშნა რიცხვი ხუთნიშნა რიცხვზე?

ა) თერთმეტი ათას ას თერთმეტით

ბ) თერთმეტი ათას ას თორმეტით

გ) ათას ას თორმეტით

დ) ათას ას თერთმეტით

ამოცანები, რომლებიც ფასდება 10 ქულით

9. ინჟინერმა მშენებლობაზე ორშაბათს ხელოსნები დაყო 3 კაციან, ოთხშაბათს 4 კაციან, ხუთშაბათს 5 კაციან და პარასკევს 6 კაციან ბრიგადებად. არც ერთ დღეს არც ერთი ხელოსანი არ დარჩენილა ბრიგადის გარეშე. რამდენი ხელოსანი შეიძლება იყოს თუ მათი რაოდენობა 50-ზე მეტია და 65-ზე ნაკლები

ა) 55 ბ) 58 გ) 62 დ) 60

სტუმრად ბიბლიოთეკაში

10. შალვა, გიორგი და თეკლა თანაკლასელები არიან. მათ უყვართ კითხვა და ხშირად სკოლის ბიბლიოთეკაში მიდიან. შალვა საბავშვო სახის ლიტერატურას კითხულობს, გიორგი სათავგადასავლოს, თეკლას კი ენციკლოპედიები იზიდავს.

ა) შალვამ საბავშვო მოთხრობების 8 წიგნი წაიკითხა . თითოეულში 130 გვერდია.

ბ) გიორგიმ 9 სათავგადასავლო წიგნი წაიკითხა, თითოეულში 160 გვერდია.

გ) ენციკლოპედია 10 ნაწილადაა გაყოფილი, თეკლამ ჯერ მხოლოდ 6 ნაწილი წაიკითხა თითოეულში 220 გვერდია

რომელმა ბავშვმა წაიკითხა მეტი ფურცელი ?

ა) შალვა ბ) გიორგი გ) თეკლა დ) ვერც ერთმა

ქართული ენა

ჭიანჭველები

ჭიანჭველები ზამთრისათვის სხვადასხვა საკვებს იმარაგებენ, მაგრამ ყველაზე ხშირად მარცვლეულს. მარცვლეულის შესაგროვებლად ჭიანჭველას შორ მანძილზე უწევს გადაადგილება. შეგროვებულ ნადავლში ზოგჯერ ნახშირის ნამცეცები და მინის ნამსხვრევებიც ერევა, მაგრამ მუშა ჭიანჭველები ნადავლს საგულდაგულოდ ახარისხებენ და ბუდიდან გამოაქვთ ყველაფერი, რაც საკვებად უვარგისია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მარცვლები ნესტიანდება, მაშინ მეომარ ჭიანჭველებს დანესტიანებული მარცვლები მზეზე გამოაქვთ და აშრობენ.

(*ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 3 ქულით)*

1. რომელი გამოთქმა შეეფერება ტექსტის შინაარსს?

ა) ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო;

ბ) შრომას დიდი მნიშვნელობა არა აქვს;

გ) მშრომელი ყოველთვის ფიქრობს მომავალზე;

დ) ზარმაციც და უქნარაც შრომობს, როგორც ჭიანჭველა.

2. ***„მეომარ ჭიანჭველებს დანესტიანებული მარცვლები მზეზე გამოაქვთ და აშრობენ.“*** ვკითხულობთ ტექსტში.

ჭიანჭველების რა თვისება ჩანს ამ ფრაზაში?

ა) დაუდევრობა; ბ) გონივრულობა; გ) მეომრობა; დ) მედიდურობა.

3. უვარგისი იგივეა, რაც...

ა) უპასუხისმგებლო; ბ) გამოუსადეგარი; გ) უგონო; დ) უპატრონო.

(*ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 5 ქულით)*

4. შემოხაზე ის წინადადება, რომელშიც გადმოცემულია ადამიანისა და ჭიანჭველას საერთო თვისება.

ა)სულ ყველა ადამიანი შრომობს თავდაუზოგავად და ყველა ჭიანჭველა ასეა;

ბ) ჭიანჭველა ნესტიან საკვებს აშრობს, ადამიანს კი ეს არ შეუძლია;

გ) ჭიანჭველაც და ადამიანიც ზრუნავს ზამთრის საკვების დამარაგებაზე;

დ) ჭიანჭველაც და ადამიანიც აუცილებლად შორ მანძილზე მიდიან საკვების მოსატანად.

5. რომელი შესიტყვებაა სწორი?

ა) ნესტიანი რკინა; ბ) ნესტიანი ადამიანი; გ) ნესტიანი ნიადაგი; დ) ნესტიანი ჭიანჭველა.

(*ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 7 ქულით)*

6. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ზედმეტი?

ა) არაქათგამოცლილი; ბ) ქანცგაწყვეტილი; გ) ღონემიხდილი; დ) სასოწარკვეთილი.

7. ნიმუშის მიხედვით იპოვე სწორი ვარიანტი.

ნიმუში: დაიმარაგა, იმარაგებს, დაიმარაგებს.

უკარნახა, კარნახობს, ...

ა) უკარნახებს; ბ) უკარნახებენ; გ) უკარნახეთ; დ) უკარნახეს.

8. დაუკვირდი ზმნეებს და დაასახელე რის მიხედვით შეიცვალა ისინი?

ამბობს-უამბო

არის-იყო

იცვამს-ჩაიცვამს

ა) რიცხვის; ბ)წერის; გ) დასაწყისი ასოების; დ) დროის.

(*ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 10 ქულით)*

9. იპოვე სიტყვა ***ლეგენდა*** ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

ა)ლეგენდის; ბ) ლეგენდიის; გ) ლეგენდას; დ) ლეგენდასი.

10. ქვემოთ მოცემულ რამდენი წინადადება წერია შეცდომით?

ა) ჭიანჭველას მშორმელი მწერია;

ბ) ჭიანჭველამ შრომა ეზარებათ;

გ) ჭიანჭველებმა შრომა არ იცის;

დ) ჭიანჭველები ბევრს შრომობს.

ა) ერთი; ბ) ორი; გ) სამი; დ) ოთხი.